



სსიპ სამცხე-ჯავახეთის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის  
2018 წლის მოკლე  
ანგარიში

2018 წ.

## შესავალი

### ერთად განვავითაროთ!

(მოხსენება აკადემიური, წარმომადგენლობითი საბჭოების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, სტუდენტების წინაშე)

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ანგარიში მოიცავს საქმიანობას 2018 წლის თებერვლიდან 2019 წლამდე ე.ი. ერთწლიან პერიოდს. თქვენ წინაშე მოხსენების წარდგენა გვინდა დავიწყოთ მადლობით იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც წარმოგვიდგინეს საკუთარი საქმიანობის ანგარიში, მოგვცეს საშუალება, გაგვეანალიზებინა ერთად განხორციელებული საქმიანობა. გავეცანით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ანგარიშს, გავიაზრეთ მათი საქმიანობის ფორმატი და სპეციფიკა. ვეცადეთ, დღევანდელ ანგარიშში ავსახოთ არა თქვენ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა, არამედ მათ საფუძველზე ჩვენეული ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტრუქტურული ერთეულებიდან მოწოდებულ ანგარიშებს ახლავს რეკომენდაციები, მოსაზრებები, რაც განსაკურებულად ფასეულია ჩვენთვის. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამუშავებს მონაცემებს, გარწმუნებთ, თქვენი ბევრი წინადადება ყურადსაღებია და იმსახურებს, აისახოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

მოკლედ აღვიწერთ ანალიზის პროცესს, რომელიც ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ. პირველი ეტაპი, რითიც დავიწყეთ, გახლდათ საქმიანობის შეფასების შედეგად შიდა მაჩვენებლების ანალიზი. შეფასების შიდა მექანიზმები ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, თუმცა, რექტორის პოზიციიდან თითოეულ სამსახურთან ცალკე შეხვედრებმა პრობლემები კიდევ უფრო სხვაგვარი კუთხით დაგვანახა. მეორე, ეს იყო გარეშეფასებების მაჩვენებელი.

რას ეფუძნება გარეშეფასებების ანგარიში? უნივერსიტეტის გარეთ რექტორის უშუალო მონაწილეობით გამართულ შეხვედრებს, ასეთი შეხვედრების რიცხვი საანგარიშო პერიოდში იყო 27. ეს შეხვედრები გახლდათ ჩვენთვის საინტერესო სხვადასხვა ჯგუფთან:

- ექვსი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები
- დეპუტატები (ახალციხე ადიგენის და ნინოწმინდა-ახალქალაქის)
- ექვსი მუნიციპალიტეტის რესურს-ცენტრი
- სკოლის დირექტორები
- სამხარეო ადმინისტრაცია
- რეგიონში მოღვაწე ბიზნესმენები

(აქ არ ვთვლით მიმდინარე სისტემატურ შეხვედრებს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და ა.შ.). შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაცია, მათი კონსულტაციები, რჩევები ფასდაუდებელი აღმოჩნდა ჩვენი საქმიანობისთვის. დასაწყისშივე ჩვენ კარგად უნდა გვცოდნოდა, როგორ გვაფასებდნენ გარეთ, რა მოლოდინები ჰქონდათ უნივერსიტეტისგან. თითოეული

შეხვედრის ანალიზი ცალკე იმდენად საინტერესოა, რომ შეიძლება ცალკე ანგარიშის სახით წარმოვადგინოთ.

2019 წლის მთავარი გამოწვევა საავტორიზაციო განაცხადის მომზადება და წარმატებული ავტორიზაცია უნდა იყოს - ამის გააზრებამ განაპირობა 2018 წლის სამოქმედო გეგმა. ჩვენი ამოცანა გართულდა იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები როგორც აკრედიტაციის, ისე ავტორიზაციისა. სხვა შემთხვევაში აქცენტს თუ ავიღებდით უფრო კომპლექსურ ღონისძიებებზე საერთაშორისო თუ რესპუბლიკური მასშტაბით, უარი ვთქვით ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებაზე და რესურსი მივმართეთ შიდასაუნივერსიტეტო ღონისძიებებზე, ანუ უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევის გათვალისწინებით, პრიორიტეტად იქცა ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება. ასე, რომ განისაზღვრა 2018 წლის პრიორიტეტი - ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. საავტორიზაციო განაცხადს ჩვენ განვიხილავთ, როგორც შედეგს და არა როგორც მიზანს. შესაბამისად, შედეგისთვის, თანაც აუცილებლად წარმატებული შედეგისთვის, საჭირო არის არა მხოლოდ შინაარსის გათვალისწინება, არამედ ფორმის მისადაგებაც.

რა არის ჩვენთვის ყველაზე მეტად ფასეული წარმოდგენილი ანგარიშიდან? ის, რომ ჩვენ მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ბევრი რამ თქვენთვის, იქნება ნაცნობი. იმ შედეგებზე, რომელზეც დღეს ვისაუბრებ, ის წარმატებები თუ წარუმატებლობები (მე ვფიქრობ, უფრო მეტი წარმატება), ჩვენ ერთობლივად გვაქვს მიღწეული. ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ - ეს ჩვენი საქმიანობის ანგარიშია. მაღლობას მოგახსენებთ ამისთვის.

2018 წელს საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებას, მიღებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო აკადემიური საბჭოს მიერ ჩატარებული 18 სხდომა, მიღებულია 87 დადგენილება. ხაზს გავუსვამ - სხდომაზე დადგენილებები მიღებულია ერთხმად. საბჭოს წევრები ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები არიან, განსხვავდება ჩვენი ხედვებიც. მე მგონია, რომ, მიუხედავად ჩვენი განსხვავებული პოზიციისა, თუ ჩვენ 87 დადგენილებაზე შევძელით შეთანხმება, ვფიქრობ, გვაქვს რესურსი, ერთად ვმართოთ უნივერსიტეტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და აკადემიური საბჭოს თითოეულ წევრს ამის გამო მაღლობას მოვახსენებ.

უნივერსიტეტის ფუნქციონირება მისი მისიის გააზრებით იწყება. 2018 წლის განმავლობაში, ჩვენ ერთად შევიმუშავეთ უნივერსიტეტის მისიის განახლებული ვერსია, გავითვალისწინეთ უცვლელი და შესანარჩუნებელი ღირებულებები, მუდმივი პრიორიტეტები მივუსადაგეთ თანამედროვე საჭიროებებს, მოთხოვნილებებს. მისიამ საბოლოოდ მიიღო ჩამოყალიბებული სახე. შთამბეჭდავი იყო ის კამპანია, რომელიც ახლდა მისიის გაზიარებას, მასთან მიერთებას. ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს მისია, რომელიც ასახავს გზას, რომელიც გამოვიარეთ და გზას, საითაც ვისწრაფვით.

მეორე უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. თქვენ ჩართულები იყავით გრძელვადიანი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. 2018 წლის ბოლოს, აკადემიური საბჭოს ბოლო სხდომაზე შევქმენით სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშაველი ჯგუფი,

რომელმაც თავი მოუყარა ჩვენს იდეებს, მისცა საბოლოო ოფორმა. ამ ეტაპზე დასრულებულია შვიდწლიანი გეგმისთვის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, თითოეული სტრატეგიული ამოცანა ჩამოყალიბებულია, დაკონკრეტებულია თითოეული ამოცანის მიღწევის აქტივობები, განსაზღვრულია თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა, მონიტორინგის პერიოდულობა და რეაგირების მექანიზმები. ამჯერად, მიმდინარეობს სამწლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება, ფინანსური რესურსების განსაზღვრითა და დაზუსტებით.

უნივერსიტეტის გრძელვადიან სტრატეგიული გეგმაში გამოიყო შემდეგი პრიორიტეტები: კვლევა, სწავლა-სწავლება, მართვა, რესურსები და ინტერნაციონალიზაცია, შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც ამ პრიორიტეტებს დაეყრდნო.

დავიწყოთ კვლევითი სფეროთი. რეგულაციების შექმნა და/ან ახლის ამოქმედება. 2018 წელს შევიდა ცვლილება აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში და სავალდებულო კომპონენტად განისაზღვრა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში ორ წელიწადში ერთხელ სტატიის გამოქვეყნება. ჩვენ გვემის, რომ სერიოზული ამოცანა დავისახეთ მიზნად, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ კვლევის ხარისხის ამაღლებას ემსახურება. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს აკადემიური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება, რომელიც აკადემიური საბჭოს ინიცირებით დაამტკიცა წარმომადგენლობითმა საბჭომ. მისასალმებელია, რომ რამდენიმე ნაშრომი უკვე გამოქვეყნდა. დარწმუნებულები ვართ, მათი რიცხვი გაიზრდება. ჩვენ მივესალმებით პროფესორის ამ მზაობას. ეს არის კარგი მხარდაჭერა, რომელიც უნივერსიტეტს წაადგება. გავითვალისწინეთ სხვა უნივერსიტეტების წარმატებული გამოცდილება, შევქმენით რეგულაციები, რომლებიც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს კვლევის განსახორციელებლად.

შიდა სამეცნიერო გრანტში გამარჯვებული ორი პროექტი დასრულდა. გაცხადებულია ახალი სამეცნიერო გრანტისთვის პრიორიტეტული მიმართულება. ეს გახლავთ აგრარული მეცნიერებები და გამოცხადებულია ახალი სამეცნიერო გრანტიც.

სამეცნიერო საქმიანობა წარმოდგენილია იმ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, რომელსაც პლაგიატი ჰქვია. ერთმნიშვნელოვანი იყო ERASMUS+ -ის პროექტის ფარგლებში მიმდინარე პროექტი, რომელიც იყო აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშემწყობი. მინდა ვთქვა, რომ ERASMUS+ -ის პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია ორი მთავარი კუთხით. ეს არის როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მატერიალური დახმარებაა ისეთი ბიუჯეტის მქონე უნივერსიტეტისთვის, როგორც ჩვენი უნივერსიტეტია, მეორე - შინაარსობრივი კუთხით, რომელიც გვთავაზობს სიახლეებს და კადრების გადამზადების კუთხით გვამლევს საშუალებას, სხვათა გამოცდილება მოვიტანოთ და დავნერგოთ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პლაგიატის შესახებ რეგულაციების შემუშავება ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით. პროცესი არ დასრულებულა, ამიტომ ვერ წარვადგინეთ განსახილველად ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე. ჩვენ დაველოდებით პროცესის დასრულებას.


მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პერსონალის, სტუდენტების სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის პროცესი. 2018 წლის საშემოდგომო სემესტრში ჩატარდა 6 საინფორმაციო ტრენინგი და 48 ინდივიდუალური შეხვედრა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მომხმარებლებისათვის. ხოლო 2019 წელი დაიწყო ასევე ტრენინგებით. სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწარმოებს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე დარეგისტრირებისა და გამოყენების სტატისტიკას.

რა თქმა უნდა, პროცესი უნდა გაგრძელდეს, სანამ სრულად არ ამოიწურება. ეს დასაწყისია. პარალელურად უნდა განვითარდეს და გავააქტიუროთ ჩვენი ყველა პროფესორ-მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი.


გვსურს ჩვენს ანგარიშში მოხვდნენ ის პროფესორები, რომლებიც ელსევიერის საერთაშორისო ბაზაში არიან ასახულნი (Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიების და ციტირების ინდექსების მაჩვენებლები 2019 წლის დასაწყისის მდგომარეობით).

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს Elsevier-ის საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობასთან. Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენებით რეგულარულად აქვეყნებენ სტატიებს საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალებში. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებისა და h ინდექსისა და ციტირების მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია:

ინჟინერიის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკის დოქტორი - ვასილ ტაბატაძე გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 52, h ინდექსი 3 და ციტირების მაჩვენებელი 56.




ინჟინერიის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი გივი ქიმერიძე გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 46, h ინდექსი 27 და ციტირების მაჩვენებელი 299.



ინჟინერიის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი - რაგული ინასარიძე გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 21, *h* ინდექსი 9 და ციტირების მაჩვენებელი 425.



ინჟინერიის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - რევაზ ჭილაძე გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 12, *h* ინდექსი 7 და ციტირების მაჩვენებელი 57.



Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებში სტატიები გამოქვეყნებული აქვთ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს - ნესტან სულავას; ფიზიკა-მათემატიკის დოქტორს, პროფესორს - გიორგი მესხს; ისტორიის დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს - თამარ მათიაშვილს და სხვ.

მივესალმებით იმას, რომ გაგრძელდა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების ტრადიცია აკადემიური და მოქვეყნული პერსონალისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის. განსაკუთრებით დოქტორანტებისათვის, თუმცა ზოგიერთი მიმართულებით გვჭირდება კვლევის ფოკუსის დაზუსტება.

2018 წლის განმავლობაში სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის ორგანიზებით: ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების დეკანებსა და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან.

2018 წლის აპრილსა და მაისში ჩატარდა სტუდენტთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები (მომზადდა საინფორმაციო სახის წერილი-წინასწარი შეტყობინება მონაწილეთათვის, შესაბამისი აფიშები, სამუშაო პროგრამები, ასევე ინფორმაცია მომზადდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ-გვერდისთვის).

ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შიდა საგრანტო კომისიასთან ერთად. გამოცხადდა კონკურსი, შეირჩა გამარჯვებული პროექტები, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით წარმოდგენილმა პროექტმა ვერ დააკმაყოფილა კონკურსის პირობები, რის გამოც დაფინანსდა მხოლოდ ორი პროექტი - არქეოლოგიისა და აგრარული მიმართულებებით:

- ა) პროექტი „საველე დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში;
- ბ) პროექტი „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I და II კორპუსთან მდებარე აგრონომიის სასწავლო ნაკვეთში ნანო ტექნოლოგიების გამოცდა მრავალწლიან და ერთწლიან კულტურებში“.

14 მარტს ჩატარდა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია: „მოსწავლის თვალთ დანახული აგრარული პრობლემები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 2018“.

მეორე პრიორიტეტია სწავლა-სწავლების პროცესზე ორიენტირება. 2013 წლიდან დანერგილი პროგრამა Moodle საშუალებას იძლევა გამოცდები ჩატარდეს სხვადასხვა სირთულის ტესტებით (ღია და დახურული კითხვები, წაკითხულის გააზრება, ესე და სხვ.). პროგრამა ძირითადად გამოიყენებოდა ელექტრონული გამოცდების ჩასატარებლად. 2018 წლიდან დაიწყო სასწავლო მასალის შეტანა პროგრამაში. სამომავლოდ იგეგმება პროგრამის ყველა შესაძლებლობის გამოყენება. ასევე იგეგმება Moodle-ის პროგრამის დაკავშირება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემასთან, რაც ერთ-ერთი წინადადგმული ნაბიჯი იქნება უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების დასანერგად.

საგანმანათლებლო პროგრამების ჯეროვნად განსახორციელებლად 2018 წელს ივნისის ჩათვლით სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმართულების ხელმძღვანელებისა და დეკანატებიდან წარმოდგენილი სახელმძღვანელოების მოთხოვნების საფუძველზე, ეკონომიკური შემოსავლებიდან ნაყიდა 4636.19 ლარის წიგნი. ხოლო ნაჩუქარია 1281,3 ლარის წიგნი. ნაყიდი, ნაჩუქარი და უნივერსიტეტის სტამბაში გამოცემული წიგნების საერთო ღირებულება შეადგენს 6167.49 ლარს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას 2018 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვადასხვა უნივერსიტეტის გამომცემლობებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა საჩუქრად გადასცეს 156 წიგნი.

2018 წლის იანვრიდან ბიბლიოთეკის მენეჯმენტისა და შესყიდვების სამსახურის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულებები: „ელვა-ჯი“-სთან (ჟურნალ-გაზეთების მომწოდებელთან) და 25 - წიგნების სხვადასხვა მომწოდებელთან. 2018 წლიდან ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017-თან გაფორმდა ხელშეკრულება №2018/25, (15.01.2018), რომლის საფუძველზეც შეგვიძლია გამოვიყენოთ ელექტრონული სამეცნიერო სტატიები.

უნივერსიტეტის პროგრამული ავტორიზაცია-აკრედიტაციისათვის სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებულ ერთობლივ კვლევაზე განხორციელდა მონიტორინგი, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ფონდთან შესაბამისობის შესახებ. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის შემოწმება ხორციელდებოდა ბიბლიოთეკის სამივე განყოფილებაში (ამ პროცესს ანხორციელებდა ყველა ბიბლიოთეკარი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩემთან ერთად), შემოწმდა:

- 300 კრედიტიანი პროგრამის 73 სილაბუსი;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის 15 სილაბუსი;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის 45 სილაბუსი;
- აგრონომიის პროგრამის 65 სილაბუსი;
- ქართული ენის სადოქტორო პროგრამის 23 სილაბუსი;
- აგროტექნოლოგიის პროგრამის 21 სილაბუსი;
- ბიზნეს ინფორმატიკის 25 სილაბუსი.

ყველა სილაბუსის ავტორთან მონიტორინგის საფუძველზე აღმოჩენილი ხარვეზები კიდევ ერთხელ გადამოწმდა, შეიცვალა ზოგიერთი მასალა, ჩემს მიერ მოძიებული იქნა იმ სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები, რომელიც არ აღმოჩნდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. მიმართულების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის შედეგად ამოიბეჭდა საჭირო მასალა და მოთხოვნის შესაბამისად აიკინმა სტამბაში (სულ 45 ეგზემპლარი). საჭირო ლიტერატურის ამოიბეჭდა I კორპუსში, განვხორციელეთ მე და ბიბლიოთეკარმა ეთერ ზაზაძემ, (მხოლოდ ჩვენ გვაქვს პრინტერები). ხოლო ახალქალაქის განყოფილებისათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის კიდევ დამატებით ამოიბეჭდა 25 ეგზემპლარი. 2018 წელს ბიბლიოთეკის მომსახურების მონიტორინგისთვის შეიქმნა სპეციალური ჟურნალი და მოთხოვნის ბარათები (ჩემს მიერ), სადაც სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ წინასწარ გაეკეთებინათ მოთხოვნა მათთვის სასურველი ლიტერატურის ან სასურველი ელექტრონული ვერსიის მისაღებად. ელექტრონული ვერსიები იგზავნება მითითებულ მისამართებზე და ბარათზე ან ჟურნალში, ფიქსირდება მისი გაგზავნის დრო. მოთხოვნადი წიგნები დასკანერდა (სულ 83) ნაწილი ამოიბეჭდა ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკური რესურსის გამოყენებით უნივერსიტეტის გამომცემლობასთან თანამშრომლობით, წიგნები აიკინმა სტამბური წესით. დარბაზის კომპიუტერებში ჩაიწერა სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები. ჩემი მოთხოვნის საფუძველზე მწყობრიდან გამოსული სკანერები საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე ჩამოიწერა და დაიწერა ახალი სკანერების შეძენის შესახებ განცხადება.



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარებისა და საინვენტარო კომისიის შექმნის შესახებ 10.10.2018 წლის №3/462 ბრძანების საფუძველზე სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამივე განყოფილებაში და ყველა კაბინეტში, სადაც წიგნებია განთავსებული ჩატარდა ინვენტარიზაცია. წიგნებთან ერთად აღიწერა რუქები და აუდიო მასალა. რადგან საინვენტარო კომისიის წევრი ვიყავი ამიტომ მთელ ამ პროცესს მე ვხელმძღვანელობდი. ყველა ბიბლიოთეკარი ჩართული იყო ამ ურთულეს პროცესში, ინვენტარიზაციის მიზანი იყო როგორც მატერიალურად მთელი წიგნადი ფონდის აღწერა, ასევე სამინისტროს მითითებით ძირითადი წიგნადი ფონდიდან რარიტეტული წიგნების გამოყოფისა და მისი ცალკე დეტალური აღწერილობისა და სიების შედგენა. ამ პროცესისთვის იურისტთან ერთად შემუშავდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტული (იშვიათი და ძვირფასი) ფონდის განსაზღვრისა და რარიტეტული წიგნების შერჩევის წესი, რომელიც დამტკიცდა წარმომადგენლობით საბჭოზე (ოქმი №6 17.10.2018 წლის დადგენილება №27) დადგენილება განთავსდა ვებ-გვერდზე.

ინვენტარიზაციის პროცესი გაგრძელდა 2019 წლის 21 დეკემბრამდე ამ დროისთვის აღიწერა:

I კორპუსის წიგნთსაცავში 28651 წიგნი;

II კორპუსის წიგნთსაცავში 5020 წიგნი;

ახალქალაქის განყოფილებაში 2790 წიგნი;

I კორპუსის კაბინეტებში (ინგლისური, ფრანგული, რუსული, თურქული, ქართული, ვალერი სილოგავას სახელობის კაბინეტი, ETAG LIBRARY (ამერიკული კაბინეტის) 9993, სულ 46545 წიგნი აღიწერა.

ჩამოიწერა კომისიის მიერ 27 წიგნი, ხოლო ძირითადი წიგნადი ფონდიდან, რარიტეტული წიგნების შერჩევის წესით შესაბამისად გამოიყო 229 წიგნი, ჩემს მიერ მოხდა ყველა რარიტეტული წიგნის დეტალური განმარტება თუ რომელი კლასიფიკაციის მიხედვით გამოირჩა ის ძირითადი წიგნადი ფონდიდან. ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული შედეგების დეტალური დოკუმენტაცია, ცხრილები, დასკანერებული მასალა.

მოგეხსენებათ, სწავლა-სწავლების პროცესი ჩვენი საქმიანობის ძირითადი პროცესია და ეს საგანმანათლებლო პროგრამებს ეფუძნება. 2018 წლიდან დღემდე აკრედიტაცია გაიარა შვიდმა საგანმანათლებლო პროგრამამ. მომზადებულია კიდევ ოთხი პროგრამა, მათ შორის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა. ახალმა პროგრამამ გაიარა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილი ყველა პროცედურა. მათ შორის: პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან გაფორმდა ხელშეკრულება, ბიუჯეტიდან გამოიყო გარკვეული ფინანსური რესურსის პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, მომზადდა საჭირო საბიბლიოთეკო რესურსი. დარჩა აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურები. აკრედიტაციაზე წარდგენის პროცესი უნდა დავაჩქაროთ, რადგან მოვასწროთ პროგრამის ასახვა ანკეტა-კითხვარში.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, 2018 წელს გამოცხადებული იყო 4 კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ 2018 წლის იანვარ-თებერვლსა და ნოემბერში უზრუნველყო ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება და კონკურსები ცატარდა დადგენილი წესით. განხილვის შედაგადაც მოხდა კონკურსში გამარჯვებული ახალი აკადემიური პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

2019 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით არჩეულია და დანიშნული 64 აკადემიური თანამდებობის პირი, მათ შორის:

18 პროფესორი,

43 ასოცირებული პროფესორი,

3 ასისტენტ-პროფესორი.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასევე დასაქმებულია 84 ადმინისტრაციული და დამხმარე (სამშტატო), 40 სახელმწიფო (შტატგარეშე) დამხმარე პერსონალი. დაახლოებით 90-96 საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი. სამშტატო განრიგით გათვალისწინებული 5 მასწავლებელი (ხელოვნების მიმართულებით).

30 წელია, სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობს სამცხე-ჯავახეთში, სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გარკვეული მისია და გარკვეულ პრობლემებს წყვეტს, მაგრამ დღეს ძალიან სერიოზული გამოწვევის წინაშე ვართ. ეს გამოწვევაა კონკურენცია. გვჭირდება გაძლიერება და ამას ჩვენი ფინანსური რესურსით ვერ შევძლებთ, თუ სახელმწიფოსგან სერიოზული მხარდაჭერა არ გვქონდა. ჩვენ უნდა გავხდეთ საჭირო. აგრარული მიმართულების პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ, პირობითი აკრედიტაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ არ გვაქვს ლაბორატორიები. 2018 წელი ამ კუთხითაც გახლდათ გარდამტეხი. ლაბორატორიები გაკეთდა, მიმდინარეობს მათი აღჭურვა. ჩვენ გვექნება საკუთარი ვეტერინარული კლინიკა. ვეტერინარული კლინიკის კეთილმოწყობითვის, ჩვენ ფინანსურ რესურს ვეძიებთ, ნაწილი უნივერსიტეტის იქნება.

კიდევ რამდენიმე ახალი პროგრამის პერსპექტივა ჩნდება, ეს არის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა, 300 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელსაც სერიოზული პერსპექტივა აქვს, შეითავსოს მათემატიკის მიმართულება, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება, ფიზიკის, ქიმიის მიმართულებები.

2018 წელს ჩვენი სტუდენტური თვითმმართველობა გაერთიანდა საქართველოს თვითმმართველობათა ასოციაციაში და მისი აქტიური წევრი გახდა. დავაწესეთ სტუდენტებთან სისტემატური და უშუალო კომუნიკაციის ფორმატი. ყოველთვიურად ვხვდებით სტუდენტებს „რექტორის საათის“ ფარგლებში. ჩატარებულია 8 შეხვედრა. ეს არის საინტერესო დრო, როდესაც გახსნილად მესაუბრებიან სტუდენტები პრობლემებზე. რეაგირება გვაქვს სწრაფი. რადგან სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ ირთვება დრო და შემდეგ თვეს პასუხი თუ არ იყო, იმავე პრობლემაზე მოგვიწევს მათთან საუბარი. სწორედ ამ შეხვედრების შედეგია სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიღებული ბევრი კარგი რეგულაცია. სტუდენტები სვამენ საკითხს, რომელიც ასევე მისასალმებელია - სტუდენტური ცხოვრების გაჯანსაღება, სპორტული აქტივობების ხელშეწყობა. ახალქალაქის განვითარების ფონდში უნივერსიტეტმა წარადგინა პროექტი, რომელიც სპორტული ინვენტარით აღჭურვის საშუალებას მოგვცემს ახალქალაქში, პროექტმა წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი და გადასულია დასკვნითზე. პროექტი 34 ათასიანია და 12 ათასი უნივერსიტეტის წილია.

ჩვენს სტუდენტებს ძალიან სჭირდებათ კარიერული მხარდაჭერა, საჭიროა ამ სერვისის კიდევ უფრო გააქტიურება. კარიერული ზრდის სერვისის ფარგლებში საინტერესო საქმიანობა ჩატარდა 2018 წელს. კვლევა განხორციელდა „დაკვეთით“ სხვადასხვა პროგრამისთვის, სხვადასხვა სწავლების საფეხურზე. ამ ეტაპზე გვაქვს:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის,

ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის,  
ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის,  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის  
შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები.

2013-2017 წწ კურსდამთავრებულთა კვლევის კმაყოფილების ინდექსის კვლევა (ჯამში გამოკითხულია 70-მდე სტუდენტი და 20-მდე სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელი პირები, როგორც დამსაქმებლები). ასევე, 2017 წლის ისტორიის, სამართლის, ქართული ფილოლოგიის და აგრონომიის სპეციალობის 55 კურსდამთავრებულის კმაყოფილების ინდექსის კვლევა.

2018 წლის 11 სექტემბრიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ოფიციალური ვებ-გვერდის განახლება, დიზაინის შემუშავება და პროგრამული უზრუნველყოფა. განახლების პროცესში აღმოჩნდა, რომ სერვერზე ადგილი გადავსებული იყო და ახალ პროგრამას ვერ დაიტევდა. საჭირო გახდა სივრცის ყიდვა Proserver-იდან, ან სივრცის გათავისუფლება, რაც გულისხმობდა 12 წლის ნაგროვები მასალის გადახარისხებას და არასაჭირო ინფორმაციის წაშლას. ვებ-გვერდის ადმინისტრატორმა აირჩია მეორე გზა (ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილების რჩევით). ინფორმაცია შეძლებისდაგვარად დახარისხდა, გამოუსადეგარი ფაილები წაიშალა (მათ შორის: ძველი პოსტები, სურათები, განცხადებების PDF ფაილები). შედეგად, გათავისუფლებულ ადგილას, 18 სექტემბერს უნივერსიტეტის სერვერზე განახლდა საიტი. ინფორმაცია შეგროვდა ხელახლა. თუმცა მოძიებული ინფორმაციის დიდი ნაწილი არის ძველი ან შეიცავს უზუსტობებს. შესაბამისად ადმინისტრატორს უჭირს ოპერატიულად მუშაობა, შეფერხდა საიტის განახლება, მაგრამ ამ ეტაპზე გაფრთხილებულია ყველა სტრუქტურული ერთეული, რომ საჭირო ინფორმაცია ადმინისტრატორს გადასცეს შეუფერხებლად.

იცით, რომ პროფესიული განათლების მიმართულებას ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას. მიღებულია გადაწყვეტილება და ასახულია კიდევ ჩვენს სამოქმედო გეგმაში, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნას პროფესიული განათლების დეპარტამენტი ან ცენტრი. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებულია პროფესიულ პროგრამათა ნუსხა, რომელსაც განვახორციელებთ ჯავახეთში. ეს პროგრამებია: სატყეო საქმე, საბაჟო საქმე, სოფლის მეურნეობა, ვეტერინარია, ავტომობილთა შეკეთება, რძის და ხორცის პროდუქტების დამუშავება. გვინდა მოგახსენოთ წლის საუკეთესო სიახლის შესახებ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსი ახალქალაქში სრულად იქნება რეაბილიტირებული და ამისთვის სახელმწიფო დაფინანსება გამოყოფილია. დაწყებულია პროექტის მომზადების სამუშაოები.

შემდეგი საკითხი - საგანმანათლებლო გარემოა. მივესალმებით ჩვენი პროფესორისგან მზარდ მოთხოვნას, რომელიც უნდა დავაკმაყოფილოთ. ყველა აუდიტორია უნდა აღიჭურვოს უახლესი ტექნოლოგიებით. ამ გადაწყვეტილებას ალტერნატივა არა აქვს.

აქტიურად გვესმის ორი საკითხის თაობაზე კითხვები, გვსურს ორივეს გავცეთ პასუხი. კითხვა პირველი - გაუქმდება თუ არა ახალქალაქში საბაკალავრო პროგრამები. ცალსახად აღვნიშნავთ დღევანდელი ხედვით, დღევანდელი ვითარებით, არასდროს დავგისვამს საკითხი ახალქალაქში საბაკალავრო პროგრამების ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ. პროფესიული პროგრამების ამოქმედება არ ნიშნავს საბაკალავრო პროგრამების გაუქმებას, ვწუხვარ, რომ ასეთი ინფორმაცია გადაეცათ მესამე კორპუსის თ ანამშრომლებს.

ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა ხელფასებთან დაკავშირებული პერსპექტივის შესახებ. საკითხი ყველას აინტერესებს. როგორც მოგახსენეთ, 2019 წლის ბიუჯეტი იქნება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, ლაბორატორიების აღჭურვაზე. ვფიქრობთ, რომ 2020 წლის ბიუჯეტი უნდა იყოს ორიენტირებული ხელფასების მატებაზე. რა რესურსიდან გამომდინარე? ამოქმედდება პროფესიული პროგრამები, გარკვეული რესურსი გამოთავისუფლდება, ასევე ავტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებული სოლიდური ხარჯების თანხაც არ იქნება 2020 წლის ბიუჯეტში. ეს მოგვეცემს საშუალებას, მცირე პროცენტით ვიფიქროთ ხელფასების ზრდაზე. ვფიქრობთ, უფრო ნათლად გაირკვევა უნივერსიტეტების დაფინანსების საკითხიც. დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული სპეციალიზაცია ზუსტად გვაქვს განსაზღვრული. დაფინანსების ახალ სისტემას, რაც უფრო მომზადებული შევხვდებით, მეტი რესურსის მოპოვებას შევძლებთ. დღეს არსებული კრიტერიუმებით შედარებით უკეთესი მაჩვენებელი გვექნება აკრედიტებული პროგრამების კომპონენტში, როგორც მოგახსენეთ, განსაზღვრული გვაქვს რეგიონული სპეციალიზაცია.

ანგარიშის ბოლოს წარმოგიდგინებთ 2018 წლის ჩარიცხვის მაჩვენებლებს. 314 ბაკალავრი ჩარიცხა უნივერსიტეტში, 210 - ეროვნული გამოცდებით, ქართული ენის მომზადების პროგრამა დაამთავრა და ბაკალავრიატში გადავიდა 65 სტუდენტი. ჩვენი კვლევებით 600-მდე აბიტურიენტს ველოდებით რეგისტრაციის პროცესისთვის. დაახლოებით ამდენი ადამიანი გამოეხმაურა ჩვენს ფეისბუქ აქტივობებს. 600-მდე სტუდენტს უნდა, რომ ჩვენთან მოვიდეს. არ ვამბობთ, რომ ეს არის განსაკუთრებულად ბევრი, მაგრამ არც ცოტაა. შარშან ჩავატარეთ კვლევა ჩაჭრილი აბიტურიენტების საჭიროებების დასადგენად. აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა 60 პროცენტმა ჩაჭრილებიდან ვერ გადალახა ბარიერი უნარებში, ან ინგლისურში. მივიღეთ გადაწყვეტილება და მადლობა ყველას, ვინც მხარი დაგვიჭირა, რომ მოგვემზადებინა აბიტურიენტები. უწყვეტი განათლების ცენტრში, აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე 104 მსმენელი დაფიქსირდა - 77 ახალციხეში, 27 ადიგენში. გაიხსნა ქართული ენა-ლიტერატურის, ზოგადი უნარების, უცხო ენების, ისტორიისა და გეოგრაფიის კურსები. ამან უნდა მოგვესთავისუფლებინა შედეგი. დაველოდოთ ეროვნულ გამოცდებს და ეს ნაბიჯი - აბიტურიენტებისთვის კურსების გახსნა ამის შემდგომ შევაფასოთ.

2018 წელს მნიშვნელოვანი იყო აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის კუთხით ჩატარებული ღონისძიებები, ტრენინგები, რომელიც ხარისხის სამსახურის ინიციატივით გაიმართა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გვინდა მოგახსენოთ და ერთ მნიშვნელოვან საკითხს განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი - 2018 რექტორის პოზიციაზე ჩვენი საქმიანობის პირველი წელია და სხვა ფასი ჰქონდა თქვენს თანადგომას. ჩვენ გვჯერა, რომ თითოეულ ჩვენგანში არის რესურსი, რასაც სჭირდება განვითარება. განვავითაროთ ერთად.